საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალანდარიშვილი ფელიქს აგულის ძე

კალანდარიშვილი ფელიქს აგულის ძე (დ. 26. XI. 1947, თბილისი), ბიოლოგი, ბიოქიმიკოსი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1999), პროფესორი (2002). დაამთავრა თსუ (1971). სამეცნ. კვლევა დაიწყო მოსკოვის კოლცოვის სახ. ბიოლ. განვითარების ინ-ტის ბიოქიმ. განყ-ბაში აკად. ი. ზბარსკის ხელმძღვანელობით (1972–75). 1975-იდან იყო ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლ. ინ-ტის ნეიროქიმ. ლაბორატორიის თანამშრომელი, ქცევის გენეტიკის მიმართულების ჩამომყალიბებელი და ლაბორატორიის გამგე (2000–06), დირექტორის მოადგილე (1986–91; 2000–05). გაიარა დოქტორანტურა უეიკ-ფორესტის უნ-ტში (ჩრდ. კაროლინა, აშშ, 1992–93), ორგანიზატორი ფორუმისა „კულტურათა დიალოგი" (UNESCO). აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობების ცენტრის გენ. დირექტორი (1996– 2002), 2005-იდან – საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. პრეზიდენტის თანაშემწე, მოადგილე (2007–13); ადმ. აპარატის უფროსი (2013-იდან).

კ-ის სამეცნ. კვლევის სფეროა ქცევის გენეტიკური და ნეიროფიზიოლოგიური ასპექტები სტრესის პირობებში; დნმ-ის რეპლიკაცია და რეპარაცია, უჯრედის ბირთვის ბიოქიმია. კ-მ დაადგინა ვირთაგვას ღვიძლის დაბერებულ უჯრედებში დნმ-ის რაოდენობის, რეპლიკაციისა და რეპარაციის სიჩქარეების შემცირება; გამოიყვანა ვირთაგვების ხაზი, რ-თაც გააჩნდათ გენეტიკურად დეტერმინირებული ქცევის აშლილობა ინფორმაციული სტრესის პირობებში; აღმოაჩინა, რომ ვირთაგვას ღვიძლის უჯრედის ბირთვის ენერგეტიკული უზრუნველყოფა ხორციელდება ატფ-ით წარმოქმნილ ამფ-ის და მაკროერგული ფოსფატებისგან. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2003).